საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 25 მაისის
დადგენილება № 456

სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის
ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") დოქტორანტურის, მაგისტრატურის, ბაკალავრიატის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - "პროგრამა") ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს და უძღვება პროგრამის შემუშავების, დახვეწა-განახლებისა და განხორციელების პროცესებს.

2. პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან; პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესაბამისობას პროგრამის დარგობრივი სტანდარტის შინაარსსა და მიზნებთან; პროგრამაში არსებულ სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი გადაფარვის მინიმიზაციას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობას;

ბ) იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის განსახორციელებლად პერსონალზე აკადემიური დატვირთვის განაწილების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სათანადო ორგანოების წინაშე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის სხვა სტრუქტურული ერთეულიდან ან უნივერსიტეტის გარედან მოწვევასთან დაკავშირებით;

გ) ატარებს პროგრამის განხორციელების სისტემატურ მონიტორინგსა და ანალიზს;

დ) აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, დროის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის დახვეწა-განახლების მიზნით.

3. პროგრამაში ერთზე მეტი მოდულის არსებობის შემთხვევაში, ცალკეულ პროგრამულ მოდულს შეიძლება დაენიშნოს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს მოდულის შინაარსსა და ხარისხზე და ხელს უწყობს პროგრამის ხელმძღვანელს ამ დებულებით განსაზღვრულ

უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამულ მოდულს არ დაენიშნა ხელმძღვანელი, მის ხელმძღვანელად ითვლება პროგრამის ხელმძღვანელი.

4. პროგრამის შედგენასა და მის განხორციელებაში მონაწილე პირები ექვემდებარებიან პროგრამის ხელმძღვანელს ამ დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულების პროცესში.

5. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი, როგორც წესი, შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის სათანადო კომპეტენტურობის მქონე სრულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულს).

6. პროგრამისა და პროგრამული მოდულის ხელმძღვანელის სტატუსის მინიჭება და პროგრამის სტრუქტურის დამტკიცება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ამავე საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის/ წარმომადგენელთა წარდგინების საფუძველზე.

7. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შეაფასოს პროგრამისა და პროგრამული მოდულის ხელმძღვანელის ანგარიში და გაწეული საქმიანობის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას ხელმძღვანელის სტატუსი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე